საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

საქართველოს ისტორიის წყაროები

30.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი

I

„მეცნიერება“
თბილისი
1984

ქართული ისტორიული საბუთები IX–XIII სს.

შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს
თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა

„მეცნიერება“
თბილისი
1984

9 (С 41)
63.3 (2Г)
9(47.22)(C01)
შ 502

მთავარი სარედაქციო კოლეგია

მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, ე. გაბაშვილი, რ. კიკნაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), ე. ძიძიგური, ე. ხოშტარია, გ. ჯიბლაძე.

სერიის რედაქტორი ე. ხოშტარია
ტომის რედაქტორი ნ. შოშიაშვილი

„ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“ მიზნად ისახავს ფეოდალური ეპოქის ქართული საბუთების სრული კრებულის როგორც გამოცემულის, ისე გამოუცემელის, გამოცემას კუთხობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით. კორპუსის პირველ წიგნში შევიდა IX—XIII სს. 46 საბუთი. საბუთებს ახლავს სამეცნიერო-საცნობარო აპარატი: არქეოგრაფიული აღწერილობა, ბიბლიოგრაფია, კითხვა-სხვაობები, საძიებლები და ფოტოების ალბომი (სადაც შესულია ყველა დედნის ფოტო).

სამუშაოთა განაწილება საბუთების მიხედვით: მ. ბერძნიშვილი № 5, თ. ენუქიძე და ნ. შოშიაშვილი №№ 1—4, 6, 7, 9—37, 39—46, ვ. სილოგავა №№ 8, 38.

შ $\frac{0503000000}{М\ 607(06)—84}$ 143—84 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1984

წინასიტყვაობა

საისტორიო წყაროების კორპუსების, ე. ი. კრიტიკულად დადგენილი და სათანადო სამეცნიერო-საცნობარო აპარატით განმარტებული ტექსტების სრული კრებულების გამოცემას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს სჰისტორიო მეცნიერების განვითარებისათვის. ასეთი გამოცემების განხორციელება მნიშვნელოვნად აფართოებს და სრულყოფს ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობით ბაზას, ქმნის მტკიცე საფუძველს სამეცნიერო კვლევისათვის.

ქართული საისტორიო წყაროების არც ერთი სახე ჯერჯერობით ასეთი წესით გამოცემული არ არის. არც ერთი სახის ქართული წერილობითი საისტორიო წყაროების კორპუსი არ გამოცემულა; ასეთი გამოცემების საჭიროება კი დიდი ხანია იგრძნობა.

ქართული საისტორიო წყაროების კორპუსების გამოცემის საჭიროებას ხაზგასმით აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1926 წელს, თუმცა თვლიდა რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო საამისოდ პირობები მომწიფებული. თავის „ქართულ პალეოგრაფიაში“ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა ეპიგრაფიკული ძეგლების კორპუსის გამოცემის დიდ მნიშვნელობას: „თავისდათავად ცხადია, რომ ქართულ წარწერათა სრული ახალი კრებულის Corpus Inscuptionum Georgicarum-ის გამოცემაც აუცილებელია, მაგრამ ასეთ დიად საქმეს შესაფერისი წინასწარი მუშაობა უნდა უძღოდეს წინ და ამიტომ ესეც მხოლოდ მომავალშია შესაძლებელი“ [69,22]. საბუთების გამოცემის შესახებ ივ. ჯავახიშვილი „ქართულ სიგელთა-მცოდნეობა“-ში აღნიშნავდა: „თუმცა სრულად გამოცემულ საბუთთა რიცხვი 2000 აღემატება, მაგრამ მათ გამოცემას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა ყოველთვის და იბეჭდებოდა ისე და იმ რიგზე, როგორც გამომცემელს ხელში ჩაუვარდებოდა“ [70,17]. იმავე ნაშრომის შესავალში აღნიშნულია: „...იშვიათია საბუთი, რომელიც ე. წ. დიპლომატიკური ზედმიწევნილობით იყოს გამოცემული, რასაკვირველია იმას რა ემჯობინებოდა, რომ *ჯერ ქართული სიგელ-გუჯრების სათანადოდ გამოცემა ყოფილიყო დაბეჭდილი*, ხოლო შემდეგ ეს ქართული სიგელთა-მცოდნეობის სახელმძღვანელო გამოქვეყნებულიყო, მაგრამ ამას მეტად დიდი დრო დასჭირდებოდა“ ([70.v] ხაზგასმა ჩვენია, ნ. შ.). როგორც ვხედავთ, 1926 წელს ივ. ჯავახიშვილს ქართული დიპლომატიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობად მიაჩნდა ქართული საბუთების კრებულის თანამედროვე მეცნიერული მოთხოვნილებების შესაბამის დონეზე გამოცემა, ე. ი. ქართული საბუთების კორპუსის გამოცემა. მას შემდეგ თითქმის 50 წელი გავიდა და ასეთი გამოცემა ჯერაც არ განხორციელებულა, რადგანაც ეს დაკავშირებული იყო მრა-

ვალგვარ სიძნელეებთან. სწორედ ესაა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ქართული დიპლომატიკის დარგში, რომელსაც ივ. ჯავახიშვილმა ჩაუყარა საფუძველი, შემდეგ ძალიან ცოტა რამ გაკეთდა.

ძველი ქართული საბუთების კორპუსის გამოცემა, ცხადია, ხელს შეუწყობს არა მარტო დიპლომატიკის, არამედ საერთოდ ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომ წინსვლას.

„ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი" გულისხმობს ქართული საბუთების სრულ (ყოველგვარი შერჩევის გარეშე) მეცნიერულ გამოცემას.

როგორც „საბუთი", ისე „დოკუმენტი" არაქართული ტერმინებია. „საბუთი" არაბული სიტყვაა და ქართულში შემოვიდა, როგორც ჩანს, სპარსულის გზით — ثبوت — დამტკიცება, დამოწმება, მოწმობა. „საბუთი" ქართულ წყაროებში XVIII ს-დან გვხვდება და მტკიცედ იკიდებს ფეხს ქართულში XIX ს-ში [შდრ. 70,34]. „დოკუმენტი" საერთაშორისო დიპლომატიკური ტერმინია და წარმოდგება ლათინური ზმნიდან doceo — ვამცნობ, ვასწავლი; documentum აღნიშნავს ნიმუშს, მოწმობას. ეს ტერმინი ქართულ საისტორიო წყაროებში არ გვხედება, თანამედროვე ქართულ ენაში და ქართულ დიპლომატიკაში კი უკვე დამკვიდრებულია.

ისტორიული საბუთი, ანუ დოკუმენტი არის ნარატიული ძეგლისგან განსხვავებული, არათხრობითი საისტორიო წყარო, შედგენილი თანამედროვის მიერ, საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ფორმით.

საბუთების კლასიფიკაცია ხდება რამდენიმე პრინციპით: მათი დანიშნულების, მათი გამცემის ვინაობის და თვით საბუთის გარეგნული ნიშნების მიხედვით.

1. დანიშნულების, შინაარსის მიხედვით ისტორიული საბუთები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: ა) იურიდიული ხასიათის საბუთები, რომლებსაც დას. ევროპის დიპლომატიკაში აქტები ეწოდება (ლათ. actum) და ბ) არაიურიდიული საბუთები.

იურიდიული ხასიათის საბუთებს წარმოადგენს ის საბუთები, რომლებიც აწესებენ ამ საბუთების მიმღებთა, მფლობელთა მიმართ რაიმე დაკანონებულ, იურიდიულ ნორმას (საკუთრების უფლება; გადასახადის, შრომითი თუ სხვა ვალდებულება, ან მათგან თავისუფლება; სასჯელის დადება, ან მისგან თავისუფლება; ბატონყმურ, ან სენიორალურ-ვასალურ ურთიერთობაში მოქცევა, ან მათგან განთავისუფლება; ფეოდალის სახლის წევრთა ურთიერთობის ნორმები და სხვა), ან ხელს უწყობენ, მოითხოვენ ასეთი ნორმის დაწესებას. ასეთთა რიცხვს ქართულ დიპლომატიკაში განეკუთვნებიან: წყალობის, შეუვალობისა და სითარხნის (აზატობის), შეწირულების, ნასყიდობის, მეფის მიერ საკუთრების უფლების დადასტურების („ჴელის ამართვის" საბუთები — რბილ მასალაზე და „ჴელი" — ეპიგრაფიკაში), გაყრისა და შეყრის, გაუყრელობის, ყმობის (თავდაწერის) ფიცის, პირობის, მოწმობის საბუთები, ბრძანებები (ოქმები, ფირმანები), განჩინებები და გარდაწყვეტილებები, არზები, საჩივრები, მოხსენებები, საალაპე ჩანაწერები, სულთა მატიანეები და სხვა.

არაიურიდიული ხასიათის საბუთებია: კერძო ნუსხები, ანგარიშები, ეპისტოლარული ხასიათის მასალა და სხვა.

2. გამცემთა ვინაობის მიხედვით, ისტორიული საბუთები იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად: ა) მეფეთა საბუთები; ბ) სახელმწიფო მოხელეთა და ფეოდალთა საბუთები; გ) სამედიატორო და სახელმწიფო სასამართლოს საბუთები; დ) დაბალ წოდებათა წარმომადგენლების (გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები, მოქალაქეები) საბუთები; ე) საეკლესიო (კათალიკოს-ეპისკოპოსთა, სამონასტრო კრებულის) საბუთები.

3. გარეგნული ნიშნების მიხედვით, საბუთები იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად: ა) რბილ მასალაზე (ეტრატი, ქაღალდი) ცალკე გრაგნილზე, ან ფურცელზე ხელნაწერი წიგნისგან დამოუკიდებლად დაწერილი საბუთები; ბ) მაგარ მასალაზე (ქვა, ხე, კედლის შელესილობა, ლითონი) დაწერილი, ე. ი. ეპიგრაფიკული საბუთები[1]; გ) ხელნაწერი წიგნების კიდეებზე და თავისუფალ გვერდებზე მინაწერი საბუთები. საბუთების მეტ ნაწილს შეადგენენ რბილ მასალაზე დაწერილი, ცალკე გაფორმებული საბუთები. ✓

XVI—XVIII საუკუნეებში ქართულ ისტორიულ საბუთებში ჩნდება კუთხობრივი სხვაობებიც, რადგანაც ამ პერიოდში საქართველო დაიყო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად და ამ პოლიტიკურ ერთეულებში შემუშავდა ერთიმეორისაგან რამდენადმე განსხვავებული დიპლომატიკური ტრადიციები.

საბუთების კორპუსში არ შედის შემდეგი ხასიათის საბუთები, ან სამეცნიერო ლიტერატურაში საბუთებად მიჩნეული ძეგლები:

სააღაპე ჩანაწერები და სულთა მატიანეები, მიუხედავად იმისა, რომ მათ იურიდიული ძალა აქვთ. აღაპებისა და სულთა მატიანეების გამოცემას თავისი განსაზღვრული სპეციფიკა აქვს, რაც დაუშვებელს ხდის აღაპთა კრებულების დაშლას ცალკეულ აღაპებად და მათ ჩართვას ისტორიული საბუთების კორპუსში ქრონოლოგიური რიგის მიხედვით: აღაპთა თითოეული ეს კრებული განსაზღვრული თვალსაზრისით ერთ მთლიან ძეგლს წარმოადგენს, სადაც ამა თუ იმ მონასტრის ისტორიაა არეკლილი და რომლის თითოეული ცალკეული აღაპი გარკვეულად დაკავშირებულია სხვა აღაპებთან. გარდა ამისა, აღაპთა კრებულების დათარიღების სპეციფიკა (როგორც პალეოგრაფიული, ისე შინაარსობრივი მონაცემების მიხედვით) მოითხოვს მათ განხილვას მთლიანობაში. ამის გამო, ეს კრებულები უნდა გამოიცეს ცალკე, ისეთივე შედგენილობით, როგორც მათ მოაღწიეს ჩვენამდე, თავიანთი სპეციფიკური არქეოგრაფიული წესებით. მათი დაშლა ერთი მხრივ გააძნელებდა წყაროთმცოდნეობით კვლევას და დასწევდა მათი გამოცემის არქეოგრაფიულ ხარისხს, ხოლო მეორე მხრივ, გაართულებდა მათი როგორც საისტორიო წყაროს გამოყენებას.

კორპუსის ერთ-ერთ ცალკე წიგნად გამოიცემა ნატყუარი (ე. ი. ყალბისმქმნელთა მიერ შედგენილი) საბუთები (ყალბი „სასისხლო სიგელები“, მიწათმფლობელობის ყალბი საბუთები და სხვა), რომელთა არსებობა დადგენილია ქართულ დიპლომატიკაში ივ. ჯავახიშვილის მიერ[2]. ნატყუარი საბუთები, რა თქმა

---

[1] ეპიგრაფიკული ძეგლები და მინაწერები საბუთებს წარმოადგენს მთლიანად. მათი ნაწილი იურიდიული საბუთებია, ე. ი. „აქტები“ (მაგ. „ქვლი“ — ეპიგრაფიკული აქტი), ნაწილი კი — არაიურიდიული საბუთები. მაგრამ არც მინაწერები და არც წარწერები „ძველი ქართული საბუთების კორპუსში“ არ შედიან, მიუხედავად მათი დიდი წყაროთმცოდნეობითი ღირებულებისა (მათი გამოცემა ცალკე უნდა განხორციელდეს „ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კორპუსის“ და „ქართული ანდერძ-მინაწერების კორპუსის“ სახით).

[2] [70], 156—189. თვალსაზრისს „სასისხლო სიგელების“ ნატყუარობაზე არ იზიარებენ სარგის კაკაბაძე ([30], 1—107) და საურმაგ კაკაბაძე ([82]24—28).

უნდა, ჩვეულებრივ საბუთებად არ ჩაითვლებიან და ფორმალური თვალსაზრისით შეიძლებოდა კიდეც არ შეგვეტანა კორპუსში, როგორც არაკანონიერი, იურიდიულ ძალას მოკლებული საბუთები, მაგრამ ნატყუარ საბუთებს მაინც აქვთ წყაროთმცოდნეობითი ღირებულება, რადგან, ცხადია, მისი ავტორები ცდილობდნენ ეს საბუთები შეედგინათ ნამდვილი საბუთების მიბაძვით და მათში შეჰქონდათ მრავალი საყურადღებო ისტორიული ცნობა. მსგავსება ნამდვილ საბუთთან იმდენად დიდი იყო, რომ თვით ხელისუფლებაც ვერ არჩევდა ყველა მათგანს ნამდვილისაგან და ხშირად ამტკიცებდა კიდეც. ამდენად, ნატყუარი საბუთები მაინც წარმოადგენს მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს და მათი ერთად თავმოყრა და გამოცემა მიზანშეწონილია.

* * *

ქართული ისტორიული საბუთების აღსანიშნავად შუა საუკუნეებში შეიქმნა მრავალფეროვანი ტერმინოლოგია, როგორც ადგილობრივი, ქართული, ისე უცხოური წარმომავლობის სიტყვებისაგან[3].

XVI ს-მდე ქართული საბუთების აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინებია: „დაწერილი“ და „სიგელი“. ამათგან უფრო ადრინდელია „დაწერილი“, რომელიც გაბატონებულია X ს-მდე. X ს-დან ქართულ დიპლომატიკაში შემოდის „სიგელი“ (ბერძნული), რომელიც თანდათან ავიწროებს „დაწერილს“ და XVI ს-დან სრულიად სდევნის მას ასპარეზიდან. ამაში „სიგელს“ XV ს-დან „ეხმარება“ ტერმინი „წიგნი“, რომელიც ამ დროიდან „სიგელის“ გვერდით მკვიდრდება ხმარებაში, როგორც „დაწერილის“, ისე „სიგელის“ ძველი მნიშვნელობებით. ურთიერთმიმართება „დაწერილსა“ და „სიგელს“ შორის სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში ასეთია: 1) X ს-მდე იხმარება მხოლოდ „დაწერილი“; 2) X—XI სს. „სიგელი“ შემოდის, როგორც მეფეთა საბუთების აღმნიშვნელი ტერმინი, მაგრამ „დაწერილს“ ჯერ კიდევ უპირატესობა აქვს: ის ეწოდება ყველა საბუთს, რომელიც გაცემული არ არის მეფის მიერ და ზოგჯერ მეფეთა საბუთსაც; 3) XII—XIV სს. მყარდება „წონასწორობა“: „დაწერილი“ და „სიგელი“ იყოფენ სფეროებს. პირველი აღნიშნავს მხოლოდ იმ საბუთებს, რომლებიც გაცემული არაა მეფის მიერ, ხოლო მეორე — მხოლოდ მეფეთა საბუთებს; 4) XV ს-ში კვლავ ირღვევა „წონასწორობა“, ოღონდ ახლა უკვე „სიგელის“ სასარგებლოდ: „სიგელი“ ეწოდება არა მარტო მეფეთა, არამედ, ზოგჯერ მეფის ქვეშევრდომთა მიერ გაცემულ საბუთებსაც; 5) XVI ს-დან „დაწერილი“ აღარ იხმარება ([3ა], 231—232; [70], 25—26, 29—30).

გარდა ამ ორი ძირითადი ტერმინისა („დაწერილი“ და „სიგელი“) აღნიშნულ პერიოდში (XI—XV სს.) ქართულ საბუთებში, შედარებით იშვიათად, გვხვდება სხვა ტერმინებიც: „ბ რ ძ ა ნ ე ბ ა“, შეწყვილებული „ს ი გ ე ლ თ ა ნ“ და „ნ ი შ ა ნ თ ა ნ“ (სპარს.): „ბ რ ძ ა ნ ე ბ ა დ ა ს ი გ ე ლ ი“ (XI ს-დან),

---

[3] ეს ტერმინოლოგია ივ. ჯავახიშვილმა განიხილა თავისი „ქართული სიგელთმცოდნეობის“ ერთ-ერთ თავში ([70], 25—26). მნიშვნელოვანი წვლილი მის მეცნიერულ კვლევაში შეიტანა ს. ბერძენიშვილმა ([3ა], 135—249), ეს ტერმინები აღნუსხა და ზოგიერთი მოსაზრება გამოთქვა მათ შესახებ საურ. კაკაბაძემ ([82], 14—19), ამრიგად, ქართული დიპლომატიკური ტერმინოლოგია, ასე თუ ისე, დადგენილია. მაინც საჭიროდ მოგვაჩნია აქ ამ ტერმინთა აღნუსხვა ცალკეული ქრონოლოგიური მონაკვეთების მიხედვით.

„ბ რ ძ ა ნ ე ბ ა და ნ ი შ ა ნ ი“ (XIV ს-დან); „ა ნ დ ე რ ძ ი“ (XII ს-დან), „ჩ ა ქ ი“ (XII ს-დან), „პ ი ტ ა კ ი“ (ბერძ. XIV ს-დან), „წ ა რ კ ვ ე თ ი ლ ი“ (XIV ს-დან, სვანურ საბუთებში), „გ ა ჯ ს ნ ი თ ი“ (XIV ს-დან), „გ უ ჯ ა რ ი“ (არაბ. XV ს-დან), „ქ ა რ ტ ა“ (ბერძ., XV ს-დან), „ჰ რ ო ა რ ტ ა გ ი“ (სომხ. XIV ს-დან), „ბ ა რ ა თ ი“ (თურქ. XII ს-დან), „წ ი გ ნ ი“ (XV ს-დან) ([70], 26—33, 36—37, 47—48; [82], 14—19).

ეპიგრაფიკული საბუთების აღმნიშვნელ ტერმინად ამ პერიოდში გვხვდება „ჴ ე ლ ი“, რომელიც, ნ. ბერძენიშვილის აზრით, ძველად ზოგადი დიპლომატიკური ტერმინი იყო და რომელიც განდევნა ხმარებიდან, წარმოშობით მასთანვე დაკავშირებულმა „დაწერილმა“ („ჴელი დაწერილი“) ([3ა], 191). XIII ს. შემდეგ „ჴელი“, როგორც დიპლომატიკური ტერმინი, აღარ გვხვდება.

XVI ს-დან, როგორც აღვნიშნეთ, ქართული დიპლომატიკის 2 ძირითადი ტერმინიდან („დაწერილი“, „სიგელი“) რჩება ერთი — „სიგელი“. გარდა ამისა, XV ს-დან მკვიდრდება „წ ი გ ნ ი“ — ყველაზე უფრო გავრცელებული, ზოგადი დიპლომატიკური ტერმინი XVI—XVIII სს-ში. წინა პერიოდის ტერმინებიდან რჩება: „გ უ ჯ ა რ ი“, „ბ რ ძ ა ნ ე ბ ა“ (შეწყვილების გარეშე — სპეციფიკური, ვიწრო მნიშვნელობით), „ბ ა რ ა თ ი“, „ა ნ დ ე რ ძ ი“ და იშვიათად ხმარებული ამ პერიოდში: „ქ ა რ ტ ა“, „პ ი ტ ა კ ი“, „ნ ი შ ა ნ ი“.

გარდა ძველი ტერმინებისა, XVI—XVIII სს. ხმარებაში შემოდის ქართული საბუთების აღმნიშვნელი ახალი ტერმინები: „რ ა ყ ა მ ი“ (არაბ.) „ფ ი რ მ ა ნ ი“||„ფ ა რ ვ ა ნ ი“ (სპარს.), „ბ უ ი რ უ ლ თ ი“||„ბ ი უ რ უ თ ი“ (თურქ.), „დ ა ვ თ ა რ ი“ (სპარს. შემოვიდა მონგოლთა ბატონობის ხანაში, მაგრამ დიპლომატიკურ ტერმინად გვხვდება მხოლოდ XVI ს-დან), „ნ უ ს ხ ა“ (სპარს.), „დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა“ (სპარს.), „ა რ ზ ა“ (არაბ.), „გ ა ნ ა ჩ ე ნ ი“, „გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა“, „გ ა წ ე ს ე ბ ა“, „წ ე რ ი ლ ი“, „პ ი რ ი“, „ფ ი ც ი“, „ო ქ მ ი“ (არაბ.), „თ ა მ ა ს უ ქ ი“ (არაბ.) ([70], 35—36, 38—49, 51—52).

თუ „წიგნი“ ზოგადი ტერმინი იყო, ამ ტერმინებს ჰქონდათ თავიანთი სპეციფიკური, ვიწრო შინაარსი.

XIV—XV სს-დან საბუთების აღმნიშვნელ ზოგად ტერმინებს („წიგნი“, „სიგელი“, „ნუსხა“) უჩნდება მსაზღვრელი სიტყვები — საბუთის რაობის განმსაზღვრელი ტერმინები: „წ ყ ა ლ ო ბ ი ს წიგნი“, „ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს წიგნი“, „გ ა რ ი გ ე ბ ი ს წიგნი“, „ს ი მ ტ კ ი ც ი ს წიგნი“, „ს ი თ ა რ ხ ნ ი ს წიგნი“, „თ ა რ ხ ნ ო ბ ი ს სიგელი“, „ა ზ ა ტ ო ბ ი ს წიგნი“, „გ ა რ დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ო ბ ი ს წიგნი“, „ფ ი ც ი ს წიგნი“, „პ ი რ ო ბ ი ს წიგნი“, „თ ა ვ დ ა ხ ს ნ ი ლ ო ბ ი ს სიგელი“, „ყ მ ო ბ ი ს წიგნი“, „ს ა პ ა ტ რ ო ნ ყ მ ო წიგნი“, „მ ზ ი თ ვ ი ს წიგნი“, „ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ო ბ ი ს სიგელი და ნიშანი“, „გ ა ყ რ ი ს წიგნი“, „შ ე ყ რ ი ლ ო ბ ი ს წიგნი“, „ს ა ძ მ ო და ე რ თ ო ბ ი ს წიგნი“, „გ ა ც ვ ლ ი ლ ო ბ ი ს წიგნი“, „ვ ა ლ ი ს წიგნი“ და სხვა.

* * *

საბუთებს ჰქონდათ თავიანთი განსაზღვრული, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შემუშავებული ფორმა (ფორმულარი). საბუთების ცალკეულ სახეებს და ქვესახეებს ჰქონდათ როგორც საერთო ფორმულარი, ისე სპეციფიკური, მარტო ამ სახისა თუ ქვესახისათვის დამახასიათებელი ფორმულარი. ამასთან ეს ფორმულარი იცვლება წლების მანძილზე და ამის შედეგად, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა იყო.

საბუთების შედგენილობის (ე. ი. ფორმულარების) შესწავლას საფუძველი ჩაუყარა ივ. ჯავახიშვილმა[4], მაგრამ ქართული საბუთების სრული და აკადემიური გამოცემების უქონლობამ ხელი შეუშალა მას ბოლომდე მიეყვანა ეს საქმე. ქართული საბუთების კორპუსის გამოცემა ხელს შეუწყობს დიპლომატიკის ამ ერთი ძირითადი საკითხის შემდგომ კვლევას.

• • •

რბილ მასალაზე (ეტრატზე) დაწერილი, ჩვენამდე შემონახული უძველესი ქართული საბუთი განეკუთვნება IX საუკუნეს. ამაზე ადრეული რბილ მასალაზე დაწერილი ქართული საბუთი ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. მაგრამ, ცხადია, ქართული საბუთების ისტორია IX ს-ზე გაცილებით ადრე იწყება. ნ. ბერძენიშვილმა, წყაროთა ჩვენებების საფუძველზე, დამაჯერებლად დაასაბუთა ქართული საბუთების არსებობა VI ს-დან მაინც ([3а], 218—224).

ქართული ეპიგრაფიკული საბუთების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს „ჯვარი“, ე. ი. ქვაჯვარები და მათზე (უმთავრესად კვარცხლბეკებზე) ამოკვეთილი წარწერები[5].

რადგანაც ეპიგრაფიკული ძეგლები წარმოადგენენ საბუთების ერთ-ერთ სახეს, ამდენად, ჩვენამდე მოღწეული ქართული საბუთების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი შეიძლებოდა გადაგვეწია V ს-მდე. მაგრამ, ეპიგრაფიკული საბუთები და მათ შორის იურიდიული ხასიათის საბუთები — აქტები (მაგ., ქვაჯვრების კვარცხლბეკებზე ამოკვეთილი წარწერები) შედგენილია სრულიად განსხვავებული დიპლომატიკური ფორმით და, ამდენად, როგორც ჩანს, რბილ მასალაზე დაწერილ საბუთებს მაინც თავისი განვითარების ცალკე გზა ჰქონდათ. ამიტომ, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ქართული საბუთების კორპუსში არ შევიდა ეპიგრაფიკული საბუთები (მათ შორის არც ქვაჯვრების წარწერები, არც „ჴელები“ და ქვაზე ამოკვეთილი „დაწერილები“). ასევე არ შეგვაქვს ეპიგრაფიკული საბუთების აღმნიშვნელ დიპლომატიკური ტერმინების ნუსხაში „ჯვარი“: ქვაჯვარებზე ამოკვეთილ წარწერებში ტერმინი „ჯვარი“ მიემართება არა თვით წარწერას, ე. ი. დოკუმენტს, არამედ — ჯვრის გამოსახულებას და ჯვრის გამოსახულებიან სტელას, როგორც ს ა კ უ ლ ტ ო ძ ე გ ლ ს. ამიტომაც არასდროს არ გვხვდება გამოთქმა „ჯვრის დაწერა“, არამედ ჯვრიანი სტელის ყველა წარწერაში აღნიშნულია მხოლოდ „ჯვრის ამართვა“. სხვა ვითარებაა ტერმინ „ჴელთან“ დაკავშირებით: „ჴელი“ უფლების გამომხატველი ტერმინიდან იქცა ეპიგრაფიკული დოკუმენტის აღმნიშვნელ ტერმინად და სწორედ ამიტომ დამკვიდრდა გამოთქმა „ჴელის დაწერა“. ამრიგად, „ჴელი“ დიპლომატიკური ტერმინია (ეპიგრაფიკული დოკუმენტის აღმნიშვნელი), ხოლო „ჯვარი“ — არა.

• • •

შემორჩენილი ქართული საბუთების საერთო რაოდენობიდან (65.000-ზე მეტი), IX—XVII სს. განეკუთვნება დაახლოებით 4.000-მდე საბუთი, XVIII ს-ს — 15.000-მდე საბუთი, ხოლო დანარჩენი — XIX—XX სს-ს. ამრიგად, სამწუ-

---

[4] [70], 82—134. ამ საკითხისადმი მიძღვნილი აგრეთვე კ. გრიგოლიას ნაშრომი [9].

[5] [3а], 156—157, 223; სხვაგან ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს წყისეს ქვაჯვარზე: „მიწის ნასყიდობის ეს უძველესი დოკუმენტი მართლაც უდიდესი ყურადღების ღირსია“ (იხ. მ-სი: „ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, რეცენზია“ სის., 381); ამავე აზრისაა თითქოს წყისის ქვაჯვარზე ს. ჯანაშიაც: „მიწის გასხვისების (გაყიდვის ფორმით) ფაქტი დ ო კ უ მ ე ნ ტ უ რ ა დ დამტკიცებულია VI საუკუნისათვის“ (ხაზგასმა ჩვენია—ნ. შ.) ([72], 92).

ხაროდ, XVIII ს-ზე ადრინდელი საბუთები მეტად მცირე რაოდენობით შემოგვრჩა: ქართული ისტორიული საბუთების დიდი ნაწილი განადგურდა მტრების შემოსევებისა, შინაფეოდალური ომებისა და სხვა მიზეზების შედეგად. ქართული საბუთების რაოდენობა მეტად დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან წყაროებიდან ცნობილია, რომ მეფეებს, დიდ ფეოდალებს, ერისთავებს, კათალიკოსებს, ეპისკოპოსებს ჰყავდათ თავიანთი მწიგნობრები და მწიგნობართუხუცესები. მწიგნობართუხუცესები, მეფეებს გარდა, ჰყავდათ ერისთავებს (მაგ. ცნობილია კლდეკარის ერისთავის მწიგნობართუხუცესი), კათალიკოსებს, ეპისკოპოსებს (მაგ. მაწყვერელს) და სხვა. მწიგნობრები და მწიგნობართუხუცესები ყოველდღიურად წერდნენ საბუთებს („ჴელმწიფის კარის გარიგება" აწესებს ნორმას, თუ რა რაოდენობის ფურცლები უნდა მისცემოდა ყოველდღიურად 26 მწიგნობარს).

ეს საბუთები ინახებოდა სამეფო, საკათალიკოსო, ფეოდალთა საგვარეულო არქივებში, რომელთა არსებობა საქართველოში დადასტურებულია VI ს-დან ([70], 80—81; [82], 7—12). და რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, განადგურდა მტრების თარეშის, თუ სხვა მიზეზების შედეგად.

უკანასკნელად, როგორც ცნობილია, ქართული არქივები განადგურდა ჩრდ. კავკასიაში, მათი იქ ევაკუაციის პერიოდში I მსოფლიო ომის დროს ([29], 267—272; [25], 272—281).

ამჟამად, ქართული საბუთების ძირითადი ფონდი დაცულია ორ სიძველეთსაცავში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (35.000-ზე მეტი) და საქართველოს სსრ ცენტრალურ საისტორიო არქივში (30.000-მდე საბუთი). ქართული საბუთების შედარებით მცირე რაოდენობა დაცულია საქართველოს სამხარეთმცოდნეო მუზეუმებში (მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ქუთაისის მუზეუმის ფონდი), მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთისა და უკრაინის სხვა ქალაქების სიძველეთსაცავებში. ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცულია 700-ზე მეტი ქართული საბუთი (მათი აღწერილობა იხ. [82]). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი ამჟამად აწარმოებს სსრკ ყველა სიძველეთსაცავებში შემონახული ქართული საბუთების აღნუსხვას და მათი ფოტოპირების თავმოყრას.

დღემდე გამოცემულია ძველი ქართული საბუთების მხოლოდ მცირე ნაწილი (დაახლოებით 10%).

ძველი ქართული საბუთების პირველი გამოცემები განახორციელეს XIX ს. II ნახევრის და XX ს. დასაწყისის გამოჩენილმა ქართველოლოგებმა: მ. ბროსემ, დ. ბაქრაძემ, ალ. ხახანაშვილმა, თ. ჟორდანიამ, ე. თაყაიშვილმა, ს. კაკაბაძემ და სხვებმა.

ამ პერიოდში გამოქვეყნდა ქართული საბუთების სხვადასხვა კრებულები დედნის ენაზე: 1891 წ. ასეთი კრებული გამოსცა ალ. ხახანაშვილმა [67]: 1881 წ. არქეოლოგთა V ყრილობის სხდომების ოქმებში დ. ბაქრაძემ გამოაქვეყნა ქართული საბუთების ლითოგრაფიული პირები [87ა]. ისტორიული საბუთების კრებულები გამოსცეს აგრეთვე: თ. ჟორდანიამ [53], [54], [38]; ე. თაყაიშვილმა [40], [41], [42], [43], [44], და ს. კაკაბაძემ [21].

ამავე გამომცემლებმა, განსაკუთრებით კი ს. კაკაბაძემ, მრავალი საბუთი ცალკე გამოაქვეყნეს ([13]; [15]; [16]); [17] და სხვა).

ქართული საბუთების კრებულების ფრანგული და რუსული თარგმანი ამ პერიოდში გამოსცეს: მ. ბროსემ, დ. ფურცელაძემ, ა. ბერჟემ და დ. ბაქრაძემ.

მ. ბროსემ 1857 წ. გამოსცა ფრანგულ ენაზე 1020—1822 წწ. ქართული საბუთების კატალოგი და შეიტანა მასში ამ საბუთების ნაწილის სრული, ან შემოკლებული ფრანგული თარგმანი [90]. დ. ფურცელაძემ 1881--1882 წწ. გამოსცა 2 წიგნად ქართული საბუთების შემოკლებული შინაარსი რუსულად [84]; [85]; [85ა] და ანოტაციები [85ა]; 1866—1875 წწ. ა. ბერჟემ და დ. ბაქრაძემ გამოსცეს ქართული საბუთების ტექსტები რუსული თარგმანით [73].

ცალკეული საბუთების რუსული თარგმანი გამოაქვეყნეს ამ პერიოდში თ. ჟორდანიამ [76], ე. თაყაიშვილმა [87]; და ს. კაკაბაძემ [79]; [80]; [81].

აღნიშნულ გამოცემებს, მიუხედავად მრავალი ნაკლისა, დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა. ეს ითქმის განსაკუთრებით თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის და ს. კაკაბაძის გამოცემებზე, რომლებმაც შემოგვინახეს გამოცემის შემდეგ დაკარგული მრავალი საბუთის ტექსტი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული ისტორიული საბუთების მოვლა-დაცვა და გამოქვეყნების საქმე სახელმწიფო ზრუნვის საგანი გახდა. არქეოგრაფიამ და დიპლომატიკამ უფრო მაღალ დონეს მიაღწია (1926 წ. გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის „ქართული სიგელთამცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა"); ჩრდილოეთ კავკასიიდან 1923 წ. დაბრუნებულ იქნა 1915 წ. ევაკუირებული არქივების ის ნაწილი, რომელიც განადგურებას გადაურჩა. ძველი ქართული საბუთები თავმოყრილი იქნა ძირითადად 2 სიძველეთსაცავში: საქართველოს სსრ ცენტრალურ საისტორიო არქივში და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი). ამან, ცხადია, ხელი შეუწყო ქართული ისტორიული საბუთების შესწავლას და გამოცემას. ამ პერიოდში ნ. ბერძენიშვილმა წამოიწყო ქართული საისტორიო საბუთების თემატური პრინციპით გამოცემა. მან გამოსცა საბუთები 3 წიგნად ეკონომიკაზე [3]; და 2 წიგნად სოციალურ ისტორიაზე [2]. საბუთების თემატური პრინციპით გამოცემა განახორციელა აგრეთვე ი. დოლიძემ, რომელმაც მრავალტომიან სერიაში, „ქართული სამართლის ძეგლები" შეიტანა ძირითადად დოკუმენტური ხასიათის იურიდიული ძეგლები [50]; [51]; (და მომდევნო IV—VII ტომები). კუთხობრივ-ქრონოლოგიური და კუთხობრივ-თემატური პრინციპით საბუთების გამოცემები განახორციელეს შ. ბურჯანაძემ [7], ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძნიშვილმა [5], ქ. შარაშიძემ [61], დ. უჩანეიშვილმა [46], ო. სოსელიამ [45] და სხვებმა. ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთების კრებული გამოსცა ვ. ფუთურიძემ [47]. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, ხელნაწერთა ინსტიტუტის და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლები აქვეყნებდნენ ცალკეულ საბუთებს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში. ხელნაწერი წიგნების მინაწერი საბუთების ერთი ჯგუფი („სვანური საბუთები"). გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ [12].

ცალკეულ საბუთებს 20—40-იან წლებში აქვეყნებდა აგრეთვე ს. კაკაბაძე [14]; [24].

• • •

როგორც ვხედავთ, დღემდე ქართული ისტორიული საბუთების გამოსაცემად შერჩევა ხდებოდა სხვადასხვა პრინციპით: კოლექციების მიხედვით, დარგობრივად (სოციალური, ეკონომიური, სამართლის, საეკლესიო და სხვა), კუთხობრივად (დას. საქართველოს, სამცხე-საათაბაგოს, თბილისის და სხვა) და სხვა. ცხადია, ყველა ეს პრინციპი გულისხმობდა საბუთების შერჩევით გამოცემას.

ქართული საბუთების დღემდე არსებული გამოცემები ვერ აკმაყოფილებდნენ თანამედროვე მოთხოვნილებებს არა მარტო სისრულის, არამედ არქეოგრაფიული თვალსაზრისითაც: საბუთების ტექსტები ხშირად იცემოდა შემოკლებით, ქარაგმაგაუხსნელად (ან ისეთი გახსნით, რომ არ ჩანდა დაქარაგმების სახე), განკვეთილობის ნიშნების გადმოტანით, კითხვასხვაობების გარეშე, არ იყო დაცული დედნის თავისებურებები. არქეოგრაფიული აღწერილობა დგებოდა სხვადასხვანაირად, ზოგ გამოცემაში ის საბუთს წინ უძღოდა, ზოგში — საბუთს ბოლოში, ან კრებულს ბოლოში ჰქონდა დართული. ზოგ გამოცემაში საბუთს სათაური ჰქონდა (არქეოგრაფიულ აღწერილობაში — ლეგენდაში ჩართული, ან ცალკე გამოყოფილი), ზოგს — არა. ამასთან ეს სათაურები სხვადასხვა პრინციპით იყო შედგენილი; ზოგჯერ ვრცელი იყო, ზოგჯერ — მოკლე. ზოგჯერ სათაურის ტერმინოლოგია აღებულია თვით საბუთიდან, ზოგჯერ კი შეთხზულია გამომცემლის მიერ. რევოლუციამდელ გამოცემებს, როგორც წესი, არ ერთოდა საძიებლები, რაც, ცხადია, დიდად აძნელებს მათ გამოყენებას.

ძველი ქართული საბუთების კორპუსი მიზნად ისახავს:

1. ყველა საბუთის, როგორც უკვე გამოცემულის, ისე გამოუცემელის გამოქვეყნებას ყოველგვარი შერჩევის გარეშე, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (ეს თანმიმდევრობა მცირედ ირღვევა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში, გარკვეული მოსაზრებებით, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი); 2. ყველა საბუთის გამოცემას სრული სახით, ყოველგვარი შემოკლების გარეშე; 3. საბუთების ტექსტების კრიტიკულ გამოცემას სხვა გამოცემებთან კითხვასხვაობების აღნიშვნით, დედანთან მაქსიმალური სიახლოვის დაცვით, დაზიანებული ადგილების აღდგენით, ქარაგმების გახსნით, ბეჭდებისა და ხელრთვების წაკითხვით, თანამედროვე პუნქტუაციით, გამომცემლის მიერ გამოყენებული პირობითი ნიშნების უნიფიცირებით და ამ ნიშნებით საბუთების ტექსტებში, გამომცემლის განმარტებითი ტექსტების მაქსიმალურად შეცვლით; 4. ყველა დედნის ფოტოს დართვას; 5. არქეოგრაფიული აღწერილობის, დათარიღების, ბიბლიოგრაფიის, საძიებლების დართვას გამოცემისთვის.

• • •

კორპუსის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია IX ს.: ამ დროიდან შემოგვრჩა რბილ მასალაზე დაწერილი უძველესი ქართული ისტორიული საბუთები. ზედა ქრონოლოგიური ზღვარია 1860-იანი წლები — დას. საქართველოს სამთავროებისა და ბატონყმობის გაუქმების წლები საქართველოში.

კორპუსი შედგება 9 სერიისაგან:

I სერია: IX—XV სს. საბუთები;

II სერია: XVI—XVIII სს. ქართლის სამეფოს საბუთები;

III სერია: XVI—XVIII სს. კახეთის სამეფოს საბუთები;

IV სერია: XVI—XVIII სს. იმერეთის სამეფოს საბუთები:

V სერია: XVI—XVIII სს. დასავლეთ საქართველოს სამთავროების საბუთები (ოდიშის. გურიის, აფხაზეთის, სვანეთის);

VI სერია: XVIII ს. II ნახ. ქართლ-კახეთის სამეფოს საბუთები;

VII სერია: ქართული ნატყუარი საბუთები;

VIII სერია: XIX ს. აღმოსავლეთ საქართველოს და იმერეთის საბუთები:

IX სერია: XIX ს. დასავლეთ საქართველოს სამთავროების საბუთები (სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის, სვანეთის).

საბუთის კუთხობრივი კუთვნილება განისაზღვრება მისი გამცემის სადაურობის მიხედვით.

I სერიის ქრონოლოგიური ფარგლები ძირითადად ემთხვევა საქართველოს ფეოდალური მონარქიის არსებობის პერიოდს: XI—XV სს. (სერიის მხოლოდ პირველი საბუთი — „ფავნელის დაწერილი" გამოდის ამ ფარგლებიდან). II—VI სერიები მოიცავენ სამეფო-სამთავროებად დაშლილი, რუსეთთან შეერთებამდე პერიოდის საქართველოს საბუთებს (XVI—XVIII სს.). VII სერია წარმოადგენს ნატყუარი საბუთების კრებულს, სადაც საბუთები განლაგებული იქნება ქრონოლოგიურად, მათი კუთხობრივი კუთვნილების გაუთვალისწინებლად. VIII—IX სერიები მოიცავენ რუსეთთან შეერთების შემდგომი პერიოდის ქართულ საბუთებს, ბატონყმობისა და სამთავროების გაუქმებამდე (1801/10 წ. — 1860-იანი წლები). სერიები დაყოფილი იქნება წიგნებად, პირობითი ქრონოლოგიური მონაკვეთების მიხედვით, საბუთების რაოდენობის შესაბამისად.

• • •

კორპუსის გამოსაცემად მომზადება დაიგეგმა და სათანადო მუშაობაც გაიშალა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივთან, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრასთან თანამშრომლობით.

კორპუსზე მუშაობა დაიწყო სამუშაო ინსტრუქციის შედგენით, სადაც დადგენილი იყო კორპუსის გამოცემის ძირითადი პრინციპები, კორპუსის სტრუქტურა. ეს ინსტრუქცია განხილული და მიღებული იქნა სპეციალისტების მიერ საორიენტაციოდ, ხოლო კორპუსის I წიგნზე მუშაობის პროცესში ხდებოდა მისი შევსება-დაზუსტება.

კორპუსის I წიგნის ხელნაწერის განხილვისა და მის შემდგომ პერიოდშიც საგულისხმო შენიშვნები მოგვაწოდეს: გ. აკოფაშვილმა, ქ. გრიგოლიამ, ზ. სარჯველაძემ, მ. შანიძემ, გ. ჯამბურიამ, ნ. ჯანაშიამ და განსაკუთრებით ამ წიგნის რეცენზენტმა ბ. ლომინაძემ. ავტორთა და რედაქტორის მიერ გაზიარებული შენიშვნების გათვალისწინებამ დიდად შეუწყო ხელი კორპუსის შედგენის პრინციპების დადგენას და კორპუსის ამ წიგნის ხარვეზების ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრას.

ნ. შოშიაშვილი

საბუთების ტექსტებში გამოყენებული პირობითი ნიშნები

( ) ქარაგმის გახსნა;

[ ] აღდგენილი ადგილები;

[±] დაკლებულ ასოთა მიახლოებითი რაოდენობა;

[5] დაკლებულ ასოთა ზუსტი რაოდენობა;

... დაკლებულ ასოთა გაურკვეველი რაოდენობა;

{ } დამწერის მიერ უნებლიეთ გამოტოვებული და გამოცემაში აღდგენილი ადგილები;

< > ზედმეტი ადგილები;

[[ ]] თვით დამწერის მიერ გადაშლილი ადგილები;

| დედნისეული სტრიქონის გამოყოფა;

▌ დედნისეული კეფის გამოყოფა;

// // კიდეებზე მიწერილი ტექსტი (სქოლიოში აღინიშნება რომელ კიდეზეა);

~ სიტყვების გადაადგილება კითხვასხვაობებისათვის;

r საბუთის წინა მხარე;

v საბუთის ზურგი;

\+ დამატებული ასო ან სიტყვა;

— დაკლებული ასო ან სიტყვა;

] ტექსტის ეს ადგილი ამა თუ იმ გამოცემაში დაბეჭდილია შემდეგნაირად.

1

[IX ს. II ნახ.] ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲤᲐᲕᲜᲔᲚᲘᲡᲐ ᲛᲚᲕᲘᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ

დედანი დაკარგულია. გ ვ ა ქ ვ ს:
1) პირი (XIII ს. II ნახ.); 2) პირზე დამყარებული 3 გამოცემა.

პირი; ხი, Ad—1ᵃ (მიწერილი გრიგოლ სურამელის 1247/1250 წ. დაწერილის Ad—1-ის verso-ზე. იხ. აქვე, № 27); ეტრატის გრაგნილი; გრაგნილის 6 კეფიდან ფავნელის საბუთს უჭირავს 3 კეფი: იწყება გრიგოლ სურამელის დაწერილის III კეფზე, გრძელდება II კეფზე და სრულდება I კეფზე; ტექსტის ზომა: 92×25,5; კეფებისა: III — 54×25; II — 40×25,5; I — 40×25,5: განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი, თითქმის ყოველი, ხოლო ზოგჯერ ორი-სამი სიტყვის შემდეგ, ზოგჯერ სიტყვა გაკვეთილია ორ, ან სამ ნაწილად ორწერტილით, ზოგან ნახმარია ერთი წერტილი, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში — სამწერტილი; ტექსტს ორ შემთხვევაში ახასიათებს ო და უ ასოთა მონაცვლეობა.

პირის გადამწერს, როგორც ჩანს, შემოკლებით, ზოგჯერ დამახინჯებით, შეურწყავს ერთმანეთში: 1) ფავნელის საბუთის ტექსტი; 2) მისი ხელრთვები; 3) გვიანდელი მინაწერი საბუთი (მიქაელ მემლვიმისა). ამ უკანასკნელის ხელრთვებად ჩვენს მიერ ნავარაუდევი ტექსტი, შესაძლოა, წარმოადგენს ფავნელის დაწერილის ხელრთვებს (თუ დავუშვებთ, რომ პირის გადამწერმა შეცვალა ამ ხელრთვების ადგილმდებარეობა და გადაიტანა ისინი ფავნელის დაწერილიდან მიქაელის დაწერილის შემდეგ). პირის გადამწერის მიერ საბუთის ტექსტისა და ხელრთვა-მინაწერების ასეთი შერწყმა უნდა აიხსნას ან დედნის ძლიერი დაზიანებით, ან, რაც უფრო მართებული ჩანს, გადამწერის საგანგებო მიზანდასახულობით: შეერწყა საბუთის ყველა ნაწილი, მისი ძირითადი არსის მოკლედ გადმოცემის მიზნით. ნიშანდობლივია, რომ ფავნელის დაწერილის პირი მიწერილია გრიგოლ სურამელის დაწერილის ზურგზე. ეს არ არის შემთხვევითი: როგორც ფავნელის დაწერილი მასში შერწყმული მიქაელ მემლვიმის დაწერილით, ისე გრიგოლ სურამელის დაწერილი ეხება ერთსა და იმავე სოფელს — გავაზელნს (საბუთებში ეს სოფელი იხსენიება ორი ფორმით: „სოფელი გავაზელნი", ან: „გავაზელთა სოფელი". გვიანდელ მინაწერებში — „გავაზი"). აშკარაა, რომ გადამწერი მიზნად ისახავდა მლვიმის ამ სოფელზე არსებული საბუთების ერთად თავმოყრას. კორპუსის გამოცემაში მოცემულია ცდა ფავნელის დაწერილის ძირითადი ტექსტისა და მისი ხელრთვა-მინაწერების ფრაგმენტების ერთმანეთისაგან გამოყოფისა. ამ გამოყოფის ადგილებზე დასმულია ტექსტის გაურკვეველი რაოდენობის ნაკლულობის აღმნიშვნელი

პირობითი ნიშანი — (...). ამ შემთხვევაში ეს ნიშანი მიუთითებს არა ხელნაწერის დაზიანებულ ადგილებზე, არამედ — პირის გადამწერის მიერ შემოკლებულ ადგილებს.

საბუთის პირველი გამოცემა (ქ) შემოკლებულია; მესამე გამოცემაში (დ) Ad — 1, გაყოფილია 2 საბუთად (აქედან, პირველ საბუთში, დ-ს ვარაუდით, შერწყმულია 2 საბუთის ფრაგმენტი).

პირის გადაწერის თარიღი: 1) XV ს. (ქ, ქ¹დ); 2) კორპუსი: XIII ს. (პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით).

დედნის დაწერის თარიღი: 1) 909/941 (ქ); 2) 890/913 (ქ¹); 3) X ს. (ივ. ჯავახიშვილი); 4) საბუთის პირველი ნაწილი — IX ს.; მეორე ნაწილი — 893/918 (დ); 5) კორპუსი: ფავნელის დაწერილი — IX ს.; მიქაელ მემლვიმის დაწერილი — IX ს. ბოლო.

წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი: ფავნელის საბუთზე გვიან მიწერილი მიქაელ მემლვიმის საბუთი თარიღდება IX ს-ის მიწურულით, რადგან ის დაწერილია აფხაზთა მეფეების კოსტანტინესა და ბაგრატის, კახთა მეფეების (ქორეპისკოპოსების) ფადლასა და კვირიკეს მეფობაში. საბუთის გამცემს მათგან მიუღია ერთდროულად შეუვალობა (მეფეების წყვილ-წყვილად მოხსენიება, როგორც ჩანს, მიუთითებს მათ თანამეფობაზე: კოსტანტინეს თანამეფე ყოფილა ბაგრატი, ხოლო ფადლასი — კვირიკე). ამრიგად, საბუთი გაცემულია მაშინ, როდესაც ერთმანეთს ემთხვეოდა კოსტანტინეს მეფობა აფხაზეთში (და მასთან ბაგრატის თანამეფობა) და ფადლას მეფობა კახეთში (და მასთან კვირიკეს თანამეფობა). აფხაზთა და კახთა მეფეების ზეობათა ზუსტი ქრონოლოგია უცნობია, მაგრამ კოსტანტინე III-ის და ფადლა I-ის მეფობა ერთმანეთს ემთხვევა IX ს-ის ბოლოს. ფავნელის საბუთი, ცხადია, დაწერილია მიქაელ მემლვიმის საბუთზე ადრე, მაგრამ, არა უადრეს IX ს-სა (მეფის მოხსენება ქართლის ფეოდალის სიუზერენად, ბარდავს ლაშქრობა).

გამოცემები:

1) [53], თ. ჟორდანია, 87—88 (ქ); 2) [38], თ. ჟორდანია, 1—2 (ქ¹); [[illegible]], ი. დოლიძე, 1—2 (დ).

ქ. სახელითა ღმრთისაითა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაა|²თა, მეოხებითა და შუამდგომლობათა წმიდათა ანგელო|³ზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისაი{თა}, შუამდ|⁴გომლობითა ნაშოპთა უმეტეს წოდებულისა იოვანე ნათლისმ|⁵ცემელისაითა, რომელი მიეყრდნა მკერდსა საუფლოსა, წმიდათა და|⁶ სამეოცდაათ{თ}ა ქალწულთაითა, რომელთა გუ(ი)ქადაგეს განჴორცი{ე}ლება|⁷ სიტყუისა ღმრთისა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდისა მამის|⁸ შიოსითა... III ქეფის V

მას ჟამსა, ოდეს ბარდავს შეეიბენით, ერთი ლომისა მსგავსი|⁹ ფავნელი მკუდარი დარჩა და ერთი ცოცხალი. ესე უარესი წამე|¹⁰კიდა: ერთი უხუცესი შვილი ქავთარ შინა მამიკუდა.

1 ქ-ქ¹ედ. ღუთისათა ქ. 1—8 მამისა... შიოსითაჲ; 3 გაბრიელისაი ქ¹. 4 იოვანე ქ¹დ. 4—5 ნათლისმცემლისაითა ქ დ. 5 მიეყრდნის ქ. 6 სამეოცდაათთა დქ. განჴორციელება ქ. 7 მამისა ქ¹დ 8 ლომის ქ. 10 მამიყუდა ნსხ. ქ¹, მომიყუდა ქდ. 10—11 მკუდარნი ქ [illegible]

ვთხოვენ ჩემნი მკ|11უ(ი)დრნი მამულნი<ჩემნი მკუ(ი)დრნი მამულნი>მეფესა და მიბოძნა, რომე ტყ(უე)|12ნი დავიჳხსნე და მკუდრისა სული ვაურვო. ვთხოვე[[ლ]]ნ ოთხნი სოფ|13ელნი ცხევერეთი, გუელდესითურთ, გაჲაზელნი კოტმითურთ, ქუემო|14 გუ(ე)ლდეს ორი გლეხი: შულლიას ძე და ტარიკას ძე.

და მოვიყვანე|15 მთავარი მემლუ(ი)მე თევდორე და მივათუალენით სოფელნი; და მომ|16იწონა ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტრა ვერცხლი|17 წმიდისა შიოს /კუბოსა/ შემონაყარი, ათი ათასი პელპელი, ათი ათასი სტავრა|18, შუიდი ჯორი ვარდა, შუიდი ქორი კაპოეტი, შუიდი მეძებარი, შუიდი [[მეძებარი]]|19 მწევარი წაუვალი...*

ხელრთვები და მინაწერები (?):

1. თევდორე მთავარ-მემლევიმის ხელრთვა (?):

...თეთრსა რა ანგარიში უნდა: კაბარჭ(ი)თა გარდაუწ|20ყე. უკანისა საფასე ემცირებოდა და კიდევე მოგუეშალნის. მივეც|21ით ერთი ჯორი პალარ-კურტამითა, ერთი ცხენი სამასად, ერთი უნაგ|22ირი ხუთასად ყუელასა მჯობი, ერთი ლაგამი მარგალიტისა ძირით...

2. ფავნელის ხელრთვა (?):

...მივეცით|23 და მივუბედნიერეთ სარკინისა წინამძღუარსა...

[3.] ... [[აპ]]ნიჩ[[მ]]ბელი.

[4.] ... კორი|24[ნ]თელი.

[5.] ... დავახტანგ ბიერიტელი**.

[6.] IX ს. ბოლო. მიქაელ მემლევიმის დაწერილი

...ჩავე*** მე, მიქაელ მემლუიმე და ჩავ|25(ი)ტანენ ჩემნი ლავრანი (sic) ცხევრელნ(ი). დაუწყე ჩემსა მამულსა შიგან ცი|26ხესა გება. დავდგი კევისა კერძოდ უკეთესი კოშკი შიგნი|27თ. და გარეთ — უკეთესი სახიზნო ცხევერელთა ჰქონდეს<ა>.

დავიდევ ერთი|28 დღე ანეული — ციხისა ბეგარი, ერთი დღე სამკალი, ერთი დღე სალე|29წავ(ი). თუ ი გრივი გამოვიდეს, ცხრა გრივი — პატონსა და მეათე — ცხ|30ევერელთა; წელიწადსა შიგან ერთი დღე ნადირობა არის — ბეგა|31რა ჩუენი მოსაცემელი; კაცისა თ(ა)ვსა — ორი ჯამი შეჭამადი, ორ|32-ორი პური; ორ-ორი პირი ღუ(ი)ნო.

თუ რამე ცხირელსა კელ[[ე]]ოსან[სა]|33 გუ(ე)რდსა შესაპოვარი გედვას,

---

11 <ჩემნი მკუიდრნი მამულნი>დ. 12 ვთხუევნ ნსხ, ვითხოვენ ქ, ეთხოუევნ (sic) ქ^{1}. 13 ცხუვერეი ქ. ცხევერეი ქ^{1}. გუელი დესა-თურთ ქ, გუელ დესი-თურთ ქ^{1}, გუელ-დესითურთ დ. კოტმა-თურთ ქ. 14 გულდეს ქქ^{1}, გუელ-დეს[ს]დ. 14 შულიდას-ძე ქ. 15 მემლუმე ქქ^{1}. მემლუ[ი]მე დ. 15—16 მომეწონა ნსხ. ქქ^{1}. 17 კოზოსა ნსხ. ქქ^{1}. 18 შკდი ქ. შკდი (შუდი) ჯორი ქ^{1}. შუიდი შკდი) ქორი ქ^{1}. შუიდი (შედი) მეძებარი ქ^{1}. შუიდი (შკდი) მწევარი ქ^{1}. 19 თეთრისა ქქ^{1}. კაბარჭითა ქქ^{1}. გადაუწყე ქქ^{1}. დი 20 კიდევ ქ^{1}. 21 ჯორი] კორი ნსხ. დ. კორი (პური?) ქქ^{1}, პალარი ძურტმითა ქ. პალარი კურტამითა ქ^{1}. 22 ყუალასა ნსხ, [ყუელას] ქქ^{1}. 22 ძირითა ქქ^{1}, ძირით[ა] დ. 24 მე-ქ. მიქაელ ნსხ. მიქაელ (მიქაელ) ქ, მიქაელ ქ^{1}. 25 ცხევრელნი ქქ^{1}. 26 კშკი (კოშკი) 27. სახაზინო ქ. ჰქონდს (ჰქონდეს?) ქ. დავადევ ქ. 29 ი-ქქ^{1}, [ი] დ. 31 თავსა ქქ^{1}. ორ-ორა ქ. 31—32 ორო-რაქ. ორ-ორა ქ^{1}. 32 ღუნო (sic) ქქ^{1}. ცხირელსა (ცხევერელსა?) ქქ^{1}. 32 ხელოსანსა ქ^{1}, კელოსანსა ქ^{1}. 33 გურდსა (sic) ქქ^{1}.

* ი. დოლიძის აზრით, აქ პირველი საბუთის ტექსტი წყდება [50] 3 (შენ. **).

** ი. დოლიძის აზრით 19—24 სტრიქონები თეთრსა... ბიერიტელი—სხვა ნასყიდობის საბუთის ფრაგმენტია ([50], 3, შენიშ. ***). -

*** აქედან, ი. დოლიძის აზრით, იწყება სხვა, თავნაკლული საბუთი ([50], 4).

აჭმევდე რასა. ბეგრობისათუის ლამ|[34]ესა ნუ გა(ა)ელებინებ. სიარული არა შე-ეძლოს, აიკიდე ზურგ[სა]|[35], მათსა სამზღვარსა შიგან გაიყვანე...

გარდავე ლიხთ-იმერით|[36] და მოვიღე თავისუფლობისა ბრძანება კოსტანტინესი და ბა|[37]გრატისი, კახთა მეფეთა: ფალლესი და კუ(ი)რიკესი.

7. მეფის ხელრთვა (?)

...მითავისუფლ|[38]ებიან მეფეთა და დედოფალთაგ(ა)ნ, და დიოფალთა და დიდებუ|[39]ლთაგან, აზნაურთა და მათთა ცოლთაგან; მითავისუფლებიან ყო|[40]-ველთავე ჴელოსანთაგან, მოლარეთაგან, მეულუფეთა, მეჯინიბეთა, მ|[41]ესაბანჯრე-თა, მეგოდრეთა, მეჯამეთა, ყოველთავე დარბაზით გამო|[42]სულთა ჴელოსანთაგან.

თუ ვინმე გაწყენდეს და .არე(ი)ნ რას გაგიგ(ო)|[43]ნებდეს, სააჯოს კარსა მიიხუენით.

8. კათალიკოსის ხელრთვა (?):

...და ვინც(ა) რამანც(ა) გუარისა კაცმა|[44] შეუცვალოს, შე-მც(ა)იცვლე-ბის რჯულისაგან ქრისტ(ი)ანეთასა; რისხა|[45]ესმცა მამა, ძე და სული წმიდა; კრულმცა არს ძილი და ღუიძილი მისი,|[46] საფლავი და საჴსენებელი მისი; შე-მც(ა)-ედების კეთრი გეზისი, შიშთვილ[ი]|[47] იუდასი, დანთქმა დათან და აბირონისი; იგიმცა მას უთქუამს: „სისხლი მა|[48]გისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა“*; ქრისტეს ჯუარისმცმელთა თა||[49]ნამცა დაინაწი- II
ლების სული და საჴსენებელი მისი; პირველ კურთ|[50]ხევითგან იაკობ, ძმისა კეფის v
უფლისა, ვიდრე უკანასკნელობამდ(ი) რაცა|[51] ჟამი იწირვის წმიდათა მამათა, მღრდელთმოძღუართა და მღრ|[52]დელთაგან, მათითამცა წირვ(ი)თა კრულია; სა-ტანას გან(უ)ჴსნილითამ|[53]ცა საკრველითა შეიკრვის ტომით ნათესავით და საჴ-სენებლით მის|[54](ი)თურთ.

9. სხვა ხელრთვა (?)**

...ამა ზემო წერილთ(ა) [წმიდათა] მადლი რისხავს, რამანც ადამიანის||[55] I კეფის v
ნა(თ)ესავმა შეშალოს. ამისი დამ(ა)მტკიცებ(ე)ლ(ი) ღ(მერ)თ(მ)ან აკ(უ)რთხოს...

---

34 ბეგრობისათვის ქ. ლალისა ქქ[1] ღ. 35 გაავლებინე ბქქ[1]. 36 მივიღე ქ. კონსტანტინესა ქ. კოსტანტინესა ქ[1] ღ. 37 კურიკესი ქქ[1]. 38 დედოფალთაგან ქქ[1]ღ. და დიოფალთა] და უფალ-თა ქ. 39 მათთა ქქ ღ. 42 გაგიგონებდეს ქქ[1]ღ[1]. 43 მიიხუნით ქ, ვინც ქქ[1]ღ. რამანც ქქ[1]ღ. გოარისა ნსხ. 44 შემცა იცვლების ქქ[1] ღ. სჯულისაგან ქ. 44—55 რისხავსმცა... აკურთხოს — ქ. 46 საფლავ ქ[1]. შემცაედების ქ[1]. 48—49 ჯუარისმცემელთანმცა ქ[1], 52 მათითამც[ა]ღ. 53 საჴსენებლით ქ[1]. 53—54 მისითურთ ქ[1] ღ. 54 წერილთა ქ[1]. წმიდათა ქ[1] რამან ქ[1]. 55 ნათესავმა ქ[1]. დამამტკიცე-ბელი ქ[1].

* მათე 27,25.

** ამის შემდეგ ტექსტი დაწერილია სხვა ხელით ([50],5, შენიშ. *).

2

[1031/1033]. დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა მოჴსენებული მცხეთის საყდრისადმი

დედანი დაკარგულია. გვაქვს: 1) 2 ძველი (XII ს. და XVII—XVIII სს.) პირი; 2) მათზე (ერთ-ერთზე, ან — ორივეზე) დამყარებული გამოცემები; 3) XIX ს-ში გადაწერილი პირი.

I. პირი: სცსა, 1448—5018ა (ცენტრ. არქივის ძველი ნომერი — 14). გადაწერილი XII ს. (ამ პირის გადაწერის დათარიღება: [54], 31; [4], 222, 230. საურმ. კაკაბაძის აზრით, ეს პირი გადაწერილია XI ს. უკანასკნელ მეოთხედში: [82], 330); გრაგნილი; 182×21, 7; 3 კეფი: I — 37; II — 70; III — 78; ნუსხა-ხუცური; საზედაო ასოებად გამოყენებულია ზოგჯერ მთავრული (სტრიქონები: 87, 135, 139, 153); განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი, ან იშვიათად ერთ-წერტილი, ერთი, ორი, ან სამი სიტყვის შემდეგ. რამდენიმე შემთხვევაში (რიცხვის აღმნიშვნელ ასოსთან) — სამწერტილი; ძველი (შუა საუკუნეების) საარქივო-სააღრიცხვო ნომერი: 378; თავნაკლული: აკლია დაახლოებით 20 სტრიქონი ([4], 222); რესტავრირებული ძველად (XVII ს-მდე); დაწებებული საფენ ქაღალდზე (საფენის ზომა: 186×24,5), რომელზეც, ადგილ-ადგილ დაწერილია საბუთის ტექსტი, ნაკლული ადგილების შევსების მიზნით. ეს შევსება, ნ. ბერძენიშვილის აზრით, მომხდარა XVII ს-ზე ადრე: ([4], 223); ასეთი შევსების შემდეგ საბუთს კვლავ განუცდია ზოგიერთი დაზიანება (აგრეთვე XVII ს-მდე), რის აღდგენაც აღარ უცდიათ. საბუთის თავიც მოუხევიათ საფენზე მისი დაწებების შემდეგ ([4], 223) (კორპუსში ნუსხის ლიტერი: ა);

ამ პირში გაერთიანებულია ძველი საბუთები: ტექსტები და ხელრთვები გადაწერილია გაბმით, ერთი ხელრთვა მეორისაგან არაა გამოყოფილი არც სტრიქონებრივ, არც ქან-წილით (ასევეა გაერთიანებული საბუთის და ხელრთვების ტექსტები საბუთებში: №№ 1, 16 და სხვ.).

II. პირი: სცსა, 1448—5018ბ (ცენტრ. არქივის ძველი ნომერი — 13); გადაწერილი XII ს-ის პირიდან ([4], 219—222) XVII/XVIII ს-ში ([54], 31; [4], 246—247), მაშინ, როცა XII ს-ის პირი ჯერ კიდევ არ იყო თავნაკლული ([19], 223); გრაგნილი; 202×31; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი; ძველი საარქივო-სააღრიცხვო ნომერი: 1309 (კორპუსში ნუსხის ლიტერი: ა¹);

III. პირი: ლაი, H6 (G29h; H46—47). ფურც. 85ბ—90ბ; გადაწერილი XIX ს-ში, XII ს-ის პირიდან ([82], 30), ნუსხის აღწერილობა, იხ. [82], № 542.

IV. ყოფილა კიდევ ერთი პირი საბუთისა. გადაწერილი XIX ს-ის ბოლოს დ. ბაქრაძის მიერ. თ. ჟორდანიას აზრით, რომელსაც ხელთ ჰქონდა ეს პირი, იგი გადაწერილი იყო „თვით ნამდვილის გუჯრითგან" ([53], 181). ნ. ბერძენიშვილის აზრით კი (ნ. ბერძენიშვილს ეს პირი არ უნახავს, მაგრამ გამოთქვა აზრი თ. ჟორდანიასთან შემონახული ცნობების მიხედვით) ეს პირი გადაწერილია არა დედნიდან, არამედ — XII ს. პირიდან, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელს დასაწყისი დააკლდა ([4], 232—233).

თეიმურაზისეულ „ქართლის ცხოვრებაში" [XVIII ს., ლაი, M24 (G1; M13)] შეტანილია ადგილები ამ საბუთიდან ([4], 217, შენ. 5). თ. ჟორდანიას აზრით, ეს ადგილები ამოღებულია XVII/XVIII ს. პირიდან.

საბუთის წინა გამოცემები ემყარება: 1) პ-ს: დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს. ბ, ჟ; 2) პ, პ¹-ს: ჟ¹ (ძირითადად ემყარება პ¹-ს), კ ო რ პ უ ს ი (ძირითადად ემყარება პ-ს); 3) ა. ნ ა ტ რ ო ე ვ ი ს გამოც. იმეორებს ჟ¹-ს; 4) დ — ძირითადად ემყარება ბ-ს (თუმცა ითვალისწინებს პ, პ¹-საც).

საბუთის ორი სიტყვის („ოქროფურცლითა" სტრ. — 17, „ტაშტაბრაძგი" — სტრ. 27,28) წაკითხვა კორპუსში შეტანილია ა. შანიძის სტატიებიდან (იხ. [56], [58]).

დ ე დ ნ ი ს თ ა რ ი ღ ი ქრონიკონი სმ (240—1020): უზის საბუთში შერწყმულ. შედარებით ადრე დაწერილ ნაწილს; მთლიანი საბუთი უთარიღოა.

ს ა ბ უ თ ი ს დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა ს ხ ვ ა გ ა მ ო ც ე მ ე ბ შ ი: 1) 1020 — საბუთის ნაწილისათვის. შესაძლოა ამ თარიღში გამორჩენილი იყოს ერთეულების აღმნიშვნელი ასო (მ. ბროსე — [89]. 302); [90]. 450—451); 2) 1020 (ჟ¹); 3) 1020 — საბუთის პირველი ნაწილი; 1031/1040 — საბუთის მომდევნო ნაწილი (სარგ. კაკაბაძე — [22], 114), შენიშვნა 1); 4) 1020 — საბუთის პირველი ნაწილი; 1033 — საბუთის მომდევნო ნაწილი (საურმ. კაკაბაძე — [82], 30—32); 5) 1060 (დ. ჩუბინაშვილი — [63], 203); 6) 1040 (დ. ბაქრაძე — [74], 24); 7) 1040 (ჟ) (გაზიარებულია დ. ბაქრაძის დათარიღება); 8) 1028 შემდგომი ხანა (ი. ჯავახიშვილი — [68]. 100); 9) 1029 — საბუთის ძველი ნაწილი; 1031/1033 — მთლიანი საბუთი (ბ); 10) 1040 (კ. კეკელიძე — [35], 24); 11) 1029/1033 (დ).

წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: 1. როგორც მართებულად შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი, საბუთი, მიუხედავად მასში შესული შედარებით ადრე დაწერილი ნაწილისა (რომელსაც თარიღად უზის 1020 წ.), მაინც წარმოადგენს ერთ მთლიანს და არა ორ ნაწილად შედგენილ საბუთს (როგორც ამას მიიჩნევენ მ. ბროსე, ს. ნ. კაკაბაძე და ს. ს. კაკაბაძე). ამდენად, საბუთი უნდა დათარიღდეს ერთიანად და არა ნაწილ-ნაწილ; 2. ქრონიკონი სმ (1020 წ.) არის საბუთში გაერთიანებული მელქისედეკის შედარებით ადრინდელი საბუთის თარიღი და არა ახლად შედგენილი მთლიანი საბუთის თარიღი; 3. მელქისედეკის ადრინდელი საბუთისათვის ეს თარიღი (1020 წ.) სწორია და არ საჭიროებს 1029 წლით შესწორებას (შეადარეთ: [4], 235—244) ან 1028 წ. შემდეგ გადატანას (შეადარეთ: [68]. 100); რომანოზ კეისრის მოხსენიება არ ქმნის ამის აუცილებლობას, რადგან, როგორც მართებულად შენიშნავს ს. ს. კაკაბაძე, აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება არა რომანოზ III არგიროსი (1028—1034), არამედ რომანოზ II (959—963); 4. ბაგრატ IV-მ კურაპალატობა მიიღო 1031 წ. და ამდენად მთლიანი საბუთი ვერ დაიწერებოდა ამა-

ზე ადრე ([4], 243); 5. მელქისედეკ კათალიკოსი გარდაიცვალა 1033 წ. და ამდენად საბუთი ამაზე გვიან ვერ დაიწერებოდა ([4], 244).

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

1) [63], დ. ჩუბინაშვილი 203—208; 2) [53], თ. ჟორდანია 182—188 (ჟ); 3) [54] თ. ჟორდანია, 31—36 (ჟ[1]); 4) [83] Натроев А. 209—214; 5) [4], ნ. ბერძენიშვილი 229—296; 6) [4], ნ. ბერძენიშვილი, 217—289 (ბ); 7) [51] ი. დოლიძე, № 3 (დ); 8) [83], Натроев А. 215—217 (რუს. ბოლოშემოკლ.); 9) [88], M. Brosset, XVI, 450—452 (ფრანგ.).

ქ. სახელითა ყოვლად სახიერისა ღ(მრ)თისა, მამისა და ძისა, და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღ(მრ)თის-მშობელისაჲთა, ძლიერებითა ცხოველს-მყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისაჲთა, შეწევნითა ყოველთა ღ(მრ)თისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა.

ესე დაწერილი მოვაჴსენე და შევსწირე ყოველთავე ჩრდილოეთისა კედართა შორის უაღრესსა და უაღმატებულეს-უდიდებულესსა, წმიდასა და კათოლიკე და სამოციქულოსა საყდარსა მ ც ხ ე თ ი ს ა ს ა, სალოცველსა და სახლსა ღ(მრ)თისა დიდებისასა და მას შინა ღ(მრ)თივ-აღმართებულსა ს უ ე ტ ს ა ც ხ ო ვ ე ლ ს ა, კუართსა სამეუფოსა და მირონსა ღმერთ-მყოფელსა და წმიდა-მყოფელსა, ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ქ ა რ თ ლ ი ს ა კ(ათალიკო)ზ-პატრიაქმან მ ე ლ ქ ი ზ ე დ ე კ, მას ჟამსა, ოდეს უღირსი /ესე/ ღირს ვიქმენ საჴელთ-ჰყრობად წმიდისა ამის ტაძრისა კათოლიკე სამოციქულოჲსა ეკლესიისა და შევამკევ სალხინებელად სულისა ჩემისა და წარსამართებელად ქრისტეანეთა. და შევამკევ ყოვლითავე სამკაულობითა, გარეთითა ბჭითა და გარეშემო სტოითა მოქმნითა და ზედადაბურევითა.

და შევამკევ ყოვლითა სამკაულობითა ოქროჲთა და ვეცხლითა, თუალითა და მარგალიტითა და სალ(მრ)თოთა /წიგნთა/ დაწერითა.

და შევ|[1*]ჭედე ს უ ე ტ ი ც ხ(ო)ვ ე ლ ი ოქროჲთა და |[2] ვეცხლითა.

და შევჭედე წ(მი)დაჲ ს(ა)კ(უ)რთხეველი [ოქროჲთა]|[3] და ვეცხლითა, თუალითა და მარგ(ა)ლიტითა.

და მოვჭედენ კან|[4]კელნი და კ(ა)რნი ს(ა)კ(უ)რთხ(ე)ველის(ა)ნი ოქროჲთა და ვეცხლითა.

და |[5] შევქმნენ ძელნი ცხ(ო)რ(ე)ბის(ა)ნი ოქროჲს(ა)ნი ბ-ნი, თუალითა და მ(ა)რ|[6]გალიტითა.

1—15 ქ. სახელითა ყოვლად... დაწერითა — პჟ. 1 ღვთისა ჟ[1]. წმიდისათა პ[1]ჟ[1]. 2 წმინდისა ბ. ღვთისმშობელისათა ჟ[1]. ღმრთის-მშობელისათა პ. 3 ჯუარისათა პ[1], ჯუარისათა ჟ[1]. ღმრთისა—ჟ[1]. 5 მოვახსენე პ[1]. 7 ღვთისა ჟ[1]. 8 ღვთივ—აღმართებულსა ჟ[1]. სვეტსა პ[1]. 9 კვართსა ჟ[1]. 11 მელქისედეკ. ჟ[1]. 12 სამოციქულოსა პ[1]. სამოციქულო ეკლესიისასა ჟ[1]. შევამკე ჟ[1]. 13 წარსამართებლად დ. ქრისტიანეთა პ[1]ჟ ბდ. ქრისტეანეთა+[სამკაულობა] დ. 15 ზედაბურვითა ჟ[1]. 16 შევამკე ბ. ოქროთა პ[1]ჟ. 17 სალვთოჲთა წიგნებითა ჟ[1]. წიგნებით პ[1].

1 შევსჭედე ჟჟ[1]. სვეტიცხოველი პ[1]. ოქროთა პ[1], ოქროითა ჟჟ[1]. 2 ვერცხლითა ბ, ვეცხლითა+ (ხატითა) ჟ. შევსჭედე წმინდა ჟჟ[1], წმიდა პ[1]. ოქროთა პ[7], ოქროითა ჟჟ[1], 3 ვერცხლითა ბ. თვალითა პ[1] ჟჟ[1]. მოვჭედე პ[1], მოვსჭედენ ჟჟ[1]. 4 საკურთხეველისანი პ[1]დ. ოქროთა პ[1], ოქროითა ჟჟ[1]. ვერცხლითა ჟბ. 5 შევქმე ბ. შევქმნენ] შევსჭედე ჟჟ[1]. ცხოვრებისანი პ[1]ჟჟ[1], ცხოვრებისნი ბ. ოქროსანი პ[1], ოქროასანი ჟჟ[1]. ბ-ნი] ორნი პ[1], ყოველნი ჟ. თვლითა ჟ. თუღლითა პჟ[1].

* აქამდე ტექსტი იცემა პ[1]-ის მიხედვით, ამის შემდეგ კი პ-ს მიხედვით.

და შევქმენ წ(მიდა)ჲ ესე ს(ა)მ(ა)რტუილ(ო)ჲ ოქროჲთა და ვე|[7]ცხლითა, თუალითა და მ(ა)რგალიტითა.

და ამას შიგ(ა)ნ დაუსუენენ ყო|[8]ველთა წ(მი)დათა ნ(ა)წ(ი)ლნი აურაცხელნი და ძელი ცხ(ო)რებისა(ა)ჲ.

და და|[9]უსუენე ხატი ოქროჲსაჲ, რ(ომე)ლი მიბოძა კ ო ს ტ (ა) ნ ტ ი, ბ(ე)რძენთა მე|[10]ფემ(ა)ნ.

და სამარტუილოსავე შიგ(ა)ნ დაუსუენე ხატი ესე წმ|[11]იდისა ღ(მრ)თისმშ(ო)ბელისაჲ შემკ(ო)ბილი ოქროჲთა, თუ(ა)ლითა და მ(ა)რგ(ა)|[12]ლიტითა, რ(ომე)ლი მიბოძა ბ ა ს ი ლ ი, ბ(ე)რძენთა მ(ე)ფემ(ა)ნ.

და ხატი ესე დიდი მაცხ|[13]ოვრის(ა)ჲ საროთითა და გარეშემო თუალითა შემკ(ო)ბილი და სხუაჲ|[14] ხატი მაცხოვრის(ა)ჲ ვეცხლის(ა)ჲ, ოქროჲთა ცურვებული.

და ხატი ნ|[15] ათლისმცემელისაჲ ა—ი, და თ(ევდორ)ესი ა—ი, და საროთითა შექმ|[16]ნილნი, ოქროჲთა და ვეცხლითა შეჭედილნი.

და სხუ(ა)ჲ ხატები ს(ა)როთი|[17]თა და ოქროფურცლითა დაწერილნი, ჩემნივე დასუენებუ|[18]ლნი რიცხუით ნე.

და ბარზიმ-ბეშხუემი ოქროჲსაჲ, თუალი|[19]თა და მარგალიტითა და მინაჲსა ხატებითა შემკ(ო)ბ(ი)ლი.

კოვზი ოქრ|[20]ოჲსა[ჲ] და ხუირნი ოქროჲს(ა)ნი, თუალითა და მ(ა)რგალიტითა შეკაზმ|[21]ულნი.

და სამწეროიბელნი ოქროჲსანი და მარგალიტითა შე|[22]მკობილნი, და საცეცხურნი და სასაკუმეველნი ოქროჲს(ა)ნი ა.

და სხ|[23]უანი საცეცხურნი დიდნი ვეცხლის(ა)ნი, სასაკუმეველნი დიდნი ორნი, ორნი|[24]ვე ოქროჲთა ცურვებულნი.

და სადაგნი საცეცხურნი და სასაკუ|[25]მეველონი ვეცხლისანი დიდნი ა.

და სათანაონი საცეცხურნი|[26] და სასაკუმეველნი ვეცხლის(ა)ნი ა.

და ჯ(უა)რი ვეცხლის(ა)ჲ სათა|[27]ნაოჲ ა.

და ვეცხლისა ტაშტაბრაჲგი დიდი წყეილი ბ.

---

6 შევქმენ] შევსქედე ქქ[1]. წმიდა პ[1], წმინდა ქქ[1]. სამარტუილო პ[1], სამარტვილოი ქქ[1], სამარტვილოჲ ბ. ოქროთა პ[1], ოქროითა ქ[1]. 7 თვალითა ქქ[1]. იმას ქქ[1]. ამასა ბდ. დაუსვენენ ქ. 8 წმინდათა ქქ[1]. აორაცხელნი პ, აურაცხელნი— ქქ[1]. ცხოვრებისა პ[1]ქქ[1]. დაუსვენე ქ, დაუსვენენ ქ[1]. 9 ოქროსა პ[1], ოქროისა ქქ[1]. კოსტანტინე ქ. ‡კონსტანტინე ქ[1]. 10 სამარტვილოსავე ქქ[1], სამარტვლოსავე ბდ. დაუსვენე ქქ[1]. წმინდისა ქ. 11 ღ(მრ)თისმშობელისა პ[1], ღვთისმშობლისა ქქ[1]. ოქროჲთა — პ[1], ოქროითა ქქ[1]. თვალითა ქ, თვლითა ქ[1]. 12 ვასილი ქ. მაცხოვრისა პ[1]ქქ[1]. 13 თვლითა ქქ[1]. სხუა ქ, სხვა პ[1]ქ[1]. სხვაჲ ბ. 14 მაცხოვრისა ვეცხლისა პ[1]ქქ[1]. ოქროთა პ[1], ოქროითა ქქ[1]. ცურვებული ქ[1]. ნათლისმცემლისა ქქ[1]. 15 ა—ი თევდორესი ა—ი და] იოვანესი ქ. თეოდორესი ქ[1]. შექმნული პ[1]ქქ[1]. 16 ოქროთა პ[1], ოქროითა ქქ[1]. და — პ[1]. სხვა პ[1] ‡ქქ[1]. 17 ოქროს ფორტლებითა დაწერილი ქ, ოქროფორცლითა პპ[1], ოქროფორტლითა ქ[1]ბდ. ჩემნივე დასუენებულნი] ყოველნი ქ. დასვენებულნი პ[1]ქ[1]. 18 რიცხვით ქქ[1], რიცხვთ ბდ. ბარძიმ-ფეშხუემი ოქროსა პ[1], ბარძიმ-ფეშხუმი ოქროისა ქქ[1]. თვალითა პ[1]ქქ[1]. 19 მინისა ქ, მინასა პ[1]ქ[1]. შემკობილნი პ[1], შემოკობილი+და პ[1]ქ[1]. ოქროსა პ[1], ოქროისა ქქ[1], ოქროისაჲ ბდ. 20 ხვირნი (ხოირი) ქ, ხვრნი ბდ. ოქროსანი პ[1], ოქროისანი ქქ[1]. თვალითა ქ, თვლითა ქ[1]. ‡შეკაზმული ქ. 21. ოქროსანი პ[1]ქ, ოქროისანი ქ[1]. 22 და საცეცხურნი]. საცეცხურნი ქქ[1]. სასაკომეველნი პ, სასაკმეველნი პ[1]ქ[1], სასაკმეველონი ქ. ოქროსანი ქ[1]. ორნი—ქქ[1]ბდ. ‡24 ოქროთა პ, ოქროითა ქქ[1]. ცორვებოლნი საცეცხორნი პ, საცეცხლურნი ქ. ‡სასაკომეველონი პ, სასაკმეველონი პ[1]ქქ[1]. სასაკუმეველნი ბდ. 25—26 ა და სათანაონი საცეცხურნი... ვეცხლისანი ა] — ქ. 26 სასაკომეველნი პ, სასაკმეველნი პ[1]ქ[1]. ჯვარი ვეცხლისა სათანაო ერთი პ[1]ქ[1]. ვეცხლისა ქ. ვერცხლისაჲ ბ. 26—27 სათანაოჲთა... დიდი] ტაშტი ქ. ვერცხლისა ტაშტაბრაგი ბდ. ტაშტაბრაჲგი] ტაშტი ქ[1].

და ბერ|[28]ძული ტაშტაბრაძგი ვეცხლისაჲ, ოქროჲთა ცურვებ(უ)ლი|[29] ა.

და წიგნ{ნ}ი საღმრთ(ო)ნი, რ(ომე)ლთა ს(ა)ხ(ე)ლ(ე)ბი ესე არს:

ს(ა)ხ(ა)რ(ე)ბისა თ(ა)რგმა|[30]ნი დიდი ა — მ ა თ ე ს ი, მ (ა) რ კ ო ზ ი ს ი და ლ უ კ ა ჲ ს ი.

